

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

„__20__07__“, 2015 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიზნობრივი პროგრამა
„ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 15/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჟ ე ვ ი

შემოკლებანი	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
აუდიტის მიზანი და მასშტაბი	4
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
აუდიტის ანგარიშის ფორმა	5
საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	5
სერტიფიცირება-ექსპერტიზა	7
ორგანიზაციის ფინანსები	8
პალატის ორგანიზაციული სტრუქტურა.....	9
ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება.....	10
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	11

შემოკლებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიზნობრივი პროგრამა „ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა“ - პროგრამა;
2. სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა-პალატა.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

➤ აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2014 წელს პროგრამის ფარგლებში, პალატის შრომის ანაზღაურებისათვის, გამოყოფილი და გახარჯული იქნა 213 786 ლარი, მთლიანი პროგრამული დაფინანსების 88 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა“ თავის საქმიანობას ახორციელებს სხვადასხვა დეპარტამენტებისა და სამსახურების საშუალებით, თუმცა პალატის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სტრუქტურის და შესაბამისად სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის შექმნის და მათ მიერ დაკისრებული ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი.

➤ პალატის ფინანსური ანგარიშგებაში მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შეუსაბამოდ, აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან პროგრამული დაფინანსებით გამოყოფილი 242 800 ლარი, საბიუჯეტო კლასიფიკაციის განსაზღვრული მუხლების ნაცვლად, აღრიცხულია როგორც სუბსიდია. ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდის თავდაპირველი დამტკიცებული გეგმა ნაჩვენებია ნაცვლად 10 000 ლარისა, 5000 ლარი.

რეკომენდაციები

➤ შესაბამისი დოკუმენტით, დამტკიცებული იქნეს პალატის სტრუქტურული ერთეულები და შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერების მიზნით შემუშავებული იქნეს თანამდებობრივი ინსტრუქციები.

➤ პალატამ უზრუნველყოს, საბიუჯეტი სახსრებით მიღებული დაფინანსების აღრიცხვა მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად რაც უზრუნველყოფს პალატის ფინანსური ანგარიშგების სისწორესა და სისრულეს.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში, ორგანიზაციის მიერ - „ბიზნესის ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა“-პროგრამის (კოდი 0307) ფარგლებში, მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა, პროგრამის ფარგლებში, დაწესებულების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

პალატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. პალატის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ

შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ პალატის 2014 წლის საქმიანობა პროგრამის ფარგლებში არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა


შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

აჭარის რეგიონის ბიზნესგარემოს ხელშეწყობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, როგორც წინა წლებში ასევე 2014 წელს დამტკიცდა პროგრამა „ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა“, რაც თავის მხრივ მიმართული იქნა სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ დაფინანსებისთვის, რომლის

საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრ-სამრეწველო პალატა არის წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის კორპორაცია, რომელიც აერთიანებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს და მათ გაერთიანებებს. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტების საქმიანობას. ორგანიზაციის მართვა წარმოდგენილია შემდეგი სახით:



როგორც აღინიშნა, პალატა წარმოადგენს შუამავალ რგოლს მეწარმე სუბიექტებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის. 2014 წლის განმავლობაში,

მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ბიზნეს კონფერენციებში, ძირითადად მის ფუნქციებში შედის:

- მეწარმე სუბიექტებისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;
- გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდებისა და მომსახურების დასახელების დაპატენტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადების ხელშეწყობა;
- უცხო ქვეყნის ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას მათთვის საჭირო მომსახურების გაწევა თავის უფლებამოსილების ფარგლებში;
- საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობა ბიზნესგეგმების მომზადებაში;
- ადგილობრივი საქონლის ესპორტის ხელშეწყობა და სხვა.

სერტიფიცირება-ექსპერტიზა

პალატა ახორციელებს არაპრეფერენციული და პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატების გაცემას, საანგარიშო პერიოდში სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის სასერტიფიკაციო - საექსპერტო საქმიანობის შედეგად საერთო ჯამში გაიცა:

- საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი - **1568** ერთეული, მათ შორის:
 - CT-1 (Origin) - **1303** ერთეული
 - EUR.1 - **229** ერთეული
 - FORM A – **36** ერთეული
- საქონლის ექსპერტიზის აქტი - **728** ერთეული.

ორგანიზაციის ფინანსები

სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ ფინანსები შედგება:

- საწევრო შენატანებისაგან;
- ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობებისაგან;
- კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებისაგან.

აუდიტის პერიოდში, პალატისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა სულ 248 900 ლარის სახსრები, საბოლოო დაზუსტებული საბიუჯეტო მონაცემების მიხედვით, აღნიშნული თანხები გადანაწილდა შემდეგნაირად:

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა გეგმა- საკასო
ხარჯები	242 800	241 951	241 951	849
შრომის ანაზღაურება	213 786	213 786	213 786	0
საქონელი და მომსახურება	10 810	10 075	10 075	735
სხვა ხარჯები	18 090	18 090	18 090	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 100	4 600	4 600	1 500
სულ	248 900	246 551	246 551	2 349

წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს თანამდებობრივი სარგოს დაფინანსება 213 786 ლარი, რომელიც გამოყოფილი იქნა საშტატო ნუსხით დამტკიცებულ 21 თანამშრომელზე. ასევე, სხვა ხარჯების მუხლით - 18 090 ლარი, გადახდილია ორგანიზაციის ქონების გადასახადი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით - 6 100 ლარი, შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლით - 10 810 ლარი, დაფინანსებული იქნა აპარატის მიმდინარე ხარჯები.

პალატის ორგანიზაციული სტრუქტურა

კრიტერიუმი

სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ წესდების მე-5 მუხლის მიხედვით, თავმჯდომარის მიერ უნდა იქნეს დამტკიცებული პალატის სტრუქტურა და თანამშრომელთა უფლებამოსილების წესი.

გამოვლენილი გარემოება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, პალატის შრომის ანაზღაურების დაფინანსებისათვის, პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი და გახარჯული იქნა 213 786 ლარი, მთლიანი პროგრამული დაფინანსების 88 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა“ თავის საქმიანობას ახორციელებს სხვადასხვა დეპარტამენტებისა და სამსახურების საშუალებით, თუმცა პალატის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სტრუქტურის და შესაბამისად სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის შექმნის და მათზე დაკისრებული ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რისი არსებობის ვალდებულება განსაზღვრულია წესდების მეხუთე მუხლით, რომლის თანახმადაც პალატის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული უნდა იქნეს პალატის სტრუქტურა და თანამშრომელთა უფლებამოსილების განაწილების წესი. ერთადერთი დოკუმენტი, რომლითაც დგინდება, რომ პალატაში არსებობს სტრუქტურული ერთეულები, წარმოადგენს პალატის თავმჯდომარის ბრძანება „საშტატო განრიგისა და სახელფასო

ფონდის დამტკიცების შესახებ“¹. აღნიშნული ბრძანება გამოცემულია წესდების მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც თავმჯდომარე განსაზღვრავს პალატის აპარატის სამტატო განრიგს.

სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში“ წესდების შესაბამისად არ არის განსაზღვრული თანამშრომელთა უფლებამოსილების განაწილების წესი, თუმცა თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებების უმეტესობაში გაწერილია მათი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. მიუხედავად ამისა, იმ პირობებში როდესაც არ არის დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და ასევე არის შრომითი ხელშეკრულებები, სადაც არ ფიქსირდება რიგ თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, შესაბამისად ვერ ხდება ურთიერთშედარება როგორც თანამშრომლების, ასევე სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეულ საქმიანობასთან მიმართებით. მაგალითად, პალატის სტრუქტურაში არსებობს სვოტ ანალიზისა და ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრი, სადაც დასაქმებულია 2 თანამშრომელი. წარმოდგენილი ინფორმაციით, დოკუმენტურად ვერ დასტურდება სავაჭრო პალატის სტრუქტურის და თანამშრომელთა ფუნქციები.

რეკომენდაცია

შესაბამისი დოკუმენტით დამტკიცებული იქნეს სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ სტრუქტურული ერთეულები და შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერების მიზნით შემუშავებული იქნეს თანამდებობრივი ინსტრუქციები.

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება

კრიტერიუმი

პროგრამული ბიუჯეტის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით მიღებული დაფინანსება, შესაბამის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა უნდა აღრიცხოს

¹ პალატის თავმჯდომარის 2012 წლის 27 ნოემბრის ბრძანება N008

საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

გამოვლენილი გარემოება

პალატის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში „ბიზნეს ინტერესების დაცვა და ესპორტის ხელშეწყობა“ მიღებული დაფინანსება 242 800 ლარს შეადგენს, რომელიც საბიუჯეტო კლასიფიკაციის დაცული მუხლებით იქნა დამტკიცებული, თუმცა ნაცვლად კლასიფიკაციით გათვალისწინებული დაცული მუხლებისა (ბალანსის დანართი ფორმა N2), აღრიცხულია როგორც სუბსიდია. აგრეთვე არაფინანსური აქტივების ზრდის ფორმაში (ბალანსის დანართი N2-1) თავდაპირველი დამტკიცებული გეგმა ნაცვლად 10 000 ლარისა, აღრიცხულია 5000 ლარი.

რეკომენდაცია

პალატამ საბიუჯეტო სახსრებით მიღებული დაფინანსება აღრიცხოს მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პალატის ფინანსური ანგარიშგების სისწორესა და სისრულეს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჯგუფის ხელმძღვანელი:
გურამ დუმბაძე
/უფროსი აუდიტორი/



ირაკლი ანანიძე
/უფროსი აუდიტორი/



მიხეილ დიასამიძე
/აუდიტორ-ასისტენტი/



20 ივლისი 2015 წ.